



IDS BORJOMI  
GEORGIA

შპს "აიდიეს ბორჯომი  
საქართველო"

ბორჯომის მინერალური წყლები  
#2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე  
ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის  
პროექტი

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს „ჯითიეს კონსულტიმი“

2024 წელი  
თბილისი

## სარჩევი

1	შესავალი.....	3
2	საქმიანობის აღწერა.....	5
2.1	საპროექტო ტერიტორიის მოკლე მიმოხილვა .....	5
2.2	გამწმენდი ნაგებობის დახასიათება .....	8
2.2.1	არქიტექტურული ნაწილი .....	8
2.2.2	ტექნოლოგიური ციკლის დახასიათება.....	11
2.3	ნარჩენი წყლის წარმოქმნის მიმდინარე პროცესი.....	12
2.4	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების დახასიათება .....	17
2.5	წყალმომარაგება და კანალიზაცია.....	20
2.5.1	საწარმოო და სამეურნეო ფეკალური წყლების წარმოქმნა.....	21
2.6	სამშენებლო სამუშაოები.....	21
3	გარემოს ფონური მდგომარეობა და მოსალოდნელი ზემოქმედება.....	22
3.1	კლიმატურ მეტეოროლოგიურ პირობები .....	22
3.2	გეოლოგიური გარემო .....	22
3.2.1	ჭაბურღილის კვლევის შედეგები .....	22
3.2.2	გრუნტის ლაბორატორიული კვლევის შედეგები .....	23
3.2.3	დასკვნები .....	25
3.3	ბიოლოგიური გარემო.....	26
3.3.1	ფლორა .....	26
3.3.2	მდ. მტკვრის იქთიოფაუნა.....	27
3.3.3	ფაუნა.....	28
3.4	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე .....	28
3.5	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე.....	29
3.6	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე .....	30
3.6.1	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება. ....	31
3.6.2	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში.....	32
3.6.3	ემისიის გაანგარიშება.....	32
3.6.4	ემისიის გაანგარიშება გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებიდან.....	34
3.6.5	ემისიის გაანგარიშება ლამის დამუშავებიდან გ-4.....	36
3.6.6	ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე შეჯამება.....	37
3.7	ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	37
3.8	ზემოქმედება წყლის გარემოზე.....	38
3.9	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება.....	39
3.10	ნარჩენების მართვით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	39
3.11	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე .....	39
3.12	სოციალურ - ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება .....	40
3.13	კუმულაციური ზემოქმედება.....	40
4	დანართები .....	41
4.1	დანართი N1. გრუნტის ლაბორატორიული კვლევის შედეგები.....	41
4.2	დანართი N2 ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი .....	71
4.3	დანართი N3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შენიშვნებზე რეაგირება.....	73
4.4	დანართი 4. ტერიტორიის ტოპო გეგმა.....	79
4.5	დანართი N5. ტერიტორიის დრონით გადაღებული ფოტომასალა .....	80

# 1 შესავალი

ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხანა მდებარეობს საქართველოში, ქალაქ ბორჯომში, თბილისიდან 120 კმ-ს დაშორებით. ბორჯომის ჩამომსხმის ისტორია იწყება 1879 წლიდან, როდესაც პირველი ჩამომსხმელი საწარმო გაიხსნა და დაიწყო ბოთლებში ჩამომსხმული მინერალური წყლის წარმოება.

ამჟამად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ყვიზისის მიმდებარედ, მიმდინარეობს N2 საჩამომსხმელო ქარხნის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რა დროსაც სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით, საჭიროება გახდა გამწმენდი ნაგებობის მოწყობა.

შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო" მიერ მიმდინარე საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის 10.6. პუნქტის (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) შესაბამისად სკრინინგს დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაცია:

## ა) საქმიანობის მახასიათებლები:

- ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
- ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
- ა.ე) გარემოს დაზინძურება და ხმაური;
- ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი-საქმიანობის მასშტაბების და ხასიათის გათვალისწინებით, ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მინიმალურია;

## ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

- ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან - საპროექტო ტერიტორიის დაშორების მანძილის და პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის;
- ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან - საპროექტო ტერიტორიის დაშორების მანძილის და პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის;
- ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები - ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის;
- ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
- ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;

## გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:

- გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი - პროექტი არ გულისხმობს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ;
- გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

საკანონმდებლო საფუძველი	მე-2 დანართის 10.6. პუნქტი (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია)
საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო"
კომპანიის იურიდიული მისამართი	სამცხე-ჯავახეთი, ბორჯომის რაიონი, ბორჯომი, თორის ქ. 39

საქმიანობის განხორციელების მისამართი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ყვიზისი, მარი ბროსეს ქუჩა, N 16
საქმიანობის სახე	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ოპერირება
საიდენტიფიკაციო კოდი	404485053
ელექტრონული ფოსტა	<a href="mailto:alomidze@borjomi.com">alomidze@borjomi.com</a>
კომპანიის წარმომადგენელი	ალექსანდრე ლომიძე
საკონტაქტო ტელეფონი	599 40 25 24
<b>საკონსულტაციო კომპანია</b>	შპს „ჯითიეს კონსულტიმი“
დირექტორი	გურამ ყაფლანიშვილი
ელ. ფოსტა	gtsconsulteam@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	574 999 898

## 2 საქმიანობის აღწერა

### 2.1 საპროექტო ტერიტორიის მოკლე მიმოხილვა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფელი ყვიბისი, მარი ბროსეს ქუჩა, N 16, მიწის ნაკვეთს აქვს არასასოფლო-სამეურნეო სტატუსი, რომლის საერთო ფართობია 93 453 მ<sup>2</sup>, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 64.22.04.012, რომელიც წარმოადგენს შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო"-ს საკუთრებას.

შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო"-ს მიერ, გამწმენდი ნაგებობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის საერთო ფართობიდან (93 453 მ<sup>2</sup>), მოხდება დაახლოებით 330 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ათვისება. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, განსახილველ ტერიტორიაზე მოწყობილია გამწმენდი ნაგებობის ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე და ტექნიკური, ასევე სამეურნეო-ფეკალური წყლების სისტემა და პარალელურად მიმდინარეობს ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში მშენებარე ობიექტებიდან სამეურნეო-ფეკალური წყლების სისტემის მოწყობა, აღნიშნული მშენებლობის დასრულების შემდგომ ამავე უბანზე წარმოქნილი სამეურნეო-ფეკალური და საიაღვრე სისტემა დაერთებული იქნება წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში განხილულ გამწმენდის და სანიაღვრე სისტემას.

საპროექტო ტერიტორია, როგორც აღინიშნა მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისის მიმდებარედ. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. მტკვარი დაშორებულია 75 მ-ით, შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს ლიანდაგი 23 მ-ით. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, სოფ. ყვებისში გვხვდება 278 მ-ში, ხოლო სოფ. რველში 227 მ-ში. განსახილველი ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია „ბორჯომ-ხარაგაულის“ დაცული ტერიტორია GE000021 მდებარეობს 407 მ-ში, ხოლო სატყეო უბანი 17 მ-ში.

განსახილველი ტერიტორია, წარმოადგენს მაღალი ტექნოგენური დატვირთვის უბანს, სადაც პიველადი ზემოქმედება უკვე დამდგარია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ გვხვდება.

ტერიტორიაზე გვხვდება ბიომრავალფეროვნების სინანტროპული სახეობები, განსახილველი უბანი არ გამოირჩევა ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნებით, რადგან წლებია მიმდინარეობს სამრეწველო საქმიანობები.

საპროექტო ტერიტორიაზე მისვლა შესაძლებელია საერთაშორისო მნიშვნელობის „ხაშური-ახალციხე-ვალე“ საავტომობილო გზის საშუალებით.

შპს "აიდიეს ბორჯომი საქართველო"-ს N2 საჩამომსმელო ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილი გამწმენდი ნაგებობის გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 2 ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები

N	X	Y	N	X	Y
<i>გამწმენდი ნაგებობის განთავსების კოორდინატები</i>					
1	369073	4636293	3	369100	4636310
2	369078	4636285	4	369102	4636299
<i>გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყლის წყალჩაშვების კოორდინატი</i>					
N	X		Y		
	369116		4636364		

ნახაზი 1 სიტუაციური სკემა



სურათი 1 ტერიტორიის ზოგადი ხედები



რეზერვუარები



გამწმენდი ნაგებობის შენობა



N 2 ქარხანა



გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური ციკლი

## 2.2 გამწმენდი ნაგებობის დახასიათება

### 2.2.1 არქიტექტურული ნაწილი

ტექნოლოგიური ციკლის განთავსებისთვის განსაზღვრული შენობა ერთ სართულიანია. შენობის და რეზერვუარების +0.00 ნიშნული შეესაბამება 775.40 მიწის ნიშნულს. შენობის გაბარიტებია: 12.40მX10.40მ, სიმაღლე: +0.00 ნიშნულს ზემოთ +6.15 მეტრია. საძირკვლის დაფუძნების სიმაღლე -2.50 მეტრი. მთავარი შესასვლელი კარი მიწის დონიდან აწეულია 200 მმ-ით.

ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს 5 ცალ ჩამდინარე წყლის გამწმენდ რეზერვუარს და შენობის შიგნით განთავსებულ ტექნოლოგიურ აღჭურვილობას.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული სისტემა შედგება მონოლითური რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციისაგან. გადახურვისთვის გამოყენებულია ლითონის ფერმები. გარე კედლების და სახურავის ფერმების შემავსებელია 100 მმ ზომის პოლიურეთანის სენდვიჩ-პანელები.

სენდვიჩ-პანელების წყობა ფასადზე: ჰორიზონტალურია.

შიდა ფართში გამოყენებულია ლითონის კარკასზე აწყობილი 100 მმ სიგანის პოლიურეთანის სენდვიჩ-პანელები. მათში კი მოეწყობილია მეტალო-პლასტმასის კარები.

შენობის შიგნით, +0.00 ნიშნულზე განთავსდება ჩამდინარე წყლის გასაწმენდად აუცილებელი დანადგარ-აგრეგატები. ასევე, შენობის ფუნქციისთვის შესაბამისი ოთახები. შენობის გარეთ განთავსებულია 5 ცალი უჟანგავი ლითონის რეზერვუარი, რომელიც დამონტაჟებულია რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილაზე. რეზერვუარები ერთმანეთთან დაკავშირდება ლითონის კონსტრუქციული ხიდით და ასასვლელი ლითონის სახანძრო ტიპის კიბეების საშუალებით.


*ნახაზი 2.3დ ვიზუალიზაცია*





ნახაზი 3 გამწმენდი ნაგებობის შენობის გეგმა

ნაპოთნარე ვაქოს გამწმენდი  
შენიშვა-ნაგებობა  
გეგმა  
მ. 1:150





ნახაზი 4 ჭრის

პროექტი 1-1  
შ. 1:100

დაცემის წოდების ხაზი

დაცემის წოდების ხაზი



## 2.2.2 ტექნოლოგიური ციკლის დახასიათება

ბორჯომის N 2 ქარხანა მარაგდება ორი სახის წყლის ნედლეულით: მინერალური წყალი ჭაბურღილებიდან და დაბალი მინერალიზაციის წყაროს წყალი. მინერალური წყალი გამოიყენება ჩამოსასხმელად, ხოლო წყაროს წყალი გამოიყენება, როგორც ჩამოსასხმელად, ასევე პროცესის სხვა საჭიროებებისთვის, მათ შორის შიდა მოხმარებისთვის.

ბორჯომის N2 ჩამომსხმელი საწარმო განკუთვნილია ბორჯომის მინერალური წყლის ნედლეულის დასამუშავებლად, რომელიც მიეწოდება ჭაბურღილებიდან. დამუშავებისას ხდება არასტაბილური კომპონენტების მოცილება, გაფილტვრა და ჩამოსხმა მინისა და პლასტმასის ბოთლებსა და ალუმინის ქილებში.

ბორჯომის მინერალური წყალი არის მაღალი მინერალიზაციის ნატრიუმთან-ბიკარბონატული (ჰიდროკარბონატის) შემცველობის მინერალური წყალი, რომელიც გამოირჩევა სპეციფიკური შემადგენლობით. წყლის მოპოვება ხდება ღრმა ჭაბურღილებიდან, საიდანაც წყალი მიეწოდება ჩამომსხმელ საწარმოს. მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობა ძირითადი იონებისა და მძიმე მეტალების მითითებით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში, აქვე უნდა აღინიშნოს რომ წყლის პარამეტრებს მძიმე მეტალები მცირე ოდენობით კვალის სახით ჭაბურღილებიდან მოყვება.

*ცხრილი 3 ბორჯომის საწარმოში #2 მინერალური და ტექნიკური წყლის ქიმიური შემადგენლობა*

პარამეტრი	ერთეული	ბორჯომის მინერალური წყლის ნედლეული	საწარმოში გამოყენებული ტექნიკური წყალი
pH	-	6,5	7,2
ტემპერატურა	°C	32	-
TDS	მგ/ლ	2000-6000	<500
კალციუმი (Ca)	მგ/ლ	40-100	25-80
მაგნიუმი (Mg)	მგ/ლ	30-80	<20
ნატრიუმი (Na)	მგ/ლ	1000-1700	<20
ბიკარბონატი (HCO <sub>3</sub> )	მგ/ლ	3000-4500	150-300
ქლორი (Cl <sup>-</sup> )	მგ/ლ	<350	<20
სულფატი (SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> )	მგ/ლ	<50	<50
BOD <sub>5</sub>	მგ/ლ O <sub>2</sub>	<3	<3
COD	მგ/ლ O <sub>2</sub>	<3	<3
ნიტრიტი (NO <sub>2</sub> )	მგ/ლ	<0,2	<0,2
ნიტრატი (NO <sub>3</sub> )	მგ/ლ	<0,5	12
ამონიუმი (NH <sub>4</sub> )	მგ/ლ	4,5	<0,5
N (ჯამი)	მგ/ლ	<1	<15
P (ჯამი)	მგ/ლ	<2	<0,5
რკინა (ჯამი)	მგ/ლ	<0,2	<0,2
ქრომი (Cr)*	მგ/ლ	<0,1	<0,1
ტყვია (Pb)*	მგ/ლ	<1,0	<1,0
სპილენძი (Cu)*	მგ/ლ	<3,0	<3,0
ნიკელი (Ni)*	მგ/ლ	<1,0	<1,0
თუთია (Zn)*	მგ/ლ	<4,0	<4,0
კალა (Sn)*	მგ/ლ	<2,0	<2,0

ჩამოსხმელ ქარხანაში მიღებული ნედლის წყლის დამუშავება ხდება თავდაპირველად გაფილტვრით, რაც ექვემდებარება ტექნოლოგიური მოთხოვნებით გათვალისწინებულ პარამეტრებს, რის შემდეგაც წყალი ინახება მინარაღური წყლის შესანახ სპეციალურ ავზებში.

მინერალური წყლის დადგენილ პარამეტრებამდე დამუშავება და ტექნოლოგიური დამუშავება ითვალისწინებს მექანიკურ გაფილტვრას, აერაციას, კონკრეტული კომპონენტების მოშორებას, მედია ფილტრების გამოყენებით, საბოლოო გაფილტვრას და ჩამოსხმას სხვადასხვა კონტეინერებში. ჩამოსხმის ტექნოლოგია, ასევე მოიცავს რამდენიმე ტექნოლოგიურ პროცესს, როდესაც საწარმოო (პროცესის) ნარჩენი წყალი წარმოიქმნება. ძირითადად ასეთი პროცესები მედია ფილტრების გასწორებას გულისხმობს, აგენტების ქიმიური დამუშავებით და ტექნიკური და მინერალური წყლით ჩამორეცხვით.

ჩამოსხმის ტექნოლოგია მოიცავს ხაზების, ინფრასტრუქტურის, მილებისა და მთლიანად შენობის გაწმენდისა და დასუფთავების პროცესს. საწარმოს ყველა განყოფილება აღჭურვილია CIP (ფილტრების სისტემა) სისტემებით, წმენდისა და დასუფთავების მიზნებისთვის. CIP წმენდის შემდეგ ყველა სისტემა ისევ ირეცხება და იწმინდება ტექნიკური და მინერალური წყლით. ქარხნის ტერიტორიის დასუფთავებისთვის გამოყენებული დამარბილებელი და სადეზინფექციო საშუალებები, მაგალითად ისეთი როგორც არის „CALGONIT STERILIZED FORTE 15“, „12DEZMARK“ და სხვა ბაზარზე არსებული საშუალებები, რომლის გამოყენებაც უსაფრთხოა აღნიშნული მიზნებისთვის.

ნარჩენი წყლის წარმოქმნა, ასევე დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროცესებთან. ნარჩენი წყლის წარმოქმნის ძირითადი წყაროა წყლის გაფილტვრის ზონა და წყლის წმენდისა და დასუფთავების პროცესი, ასევე ჩამოსახმელი ზონები საწარმოს შენობის შიგნით. სხვადასხვა პროცესებიდან წარმოქმნილი ნარჩენი წყლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

### 2.3 ნარჩენი წყლის წარმოქმნის მიმდინარე პროცესი

ბორჯომის ჩამოსხმელ ქარხანაში #2 წარმოქმნილი ნარჩენი წყლის რაოდენობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბორჯომის მინერალური წყლის რაოდენობაზე, რომელიც მუშავდება ქარხანაში. წყლის გამოშვების ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება. რეკომენდირებულია ბუფერული რეზერვუარის გამოყენება ნარჩენი წყლის ხარისხის გათანაბრებისთვის.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიშით გათვალისწინებული გამწმენდ ნაგებობაში ხვდება ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები და საწარმოო წყლები რომელიც წარმოქმნება ბორჯომის მინერალური წყლების გაფილტვრას, არასტაბილური და სპეციფიკური კომპონენტების მოცილებას, შუშის და პლასტმასის ბოთლებსა და თუნუქის ქილებში ჩამოსხმას, შენობის, ხაზებისა და მილების ინფრასტრუქტურის.

სამეურნეო წყლის შეფასება მთლიანად ეფუძნება ქარხანაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობას. სამეურნეო წყალი მოიცავს ოფისების, სააბაზანოების, საშხაპეების წყალს, ასევე სასადილოსა და სამზარეულოს ნაწილს, რომელიც მოწყობილია ბორჯომის ჩამოსხმელ ქარხანაში. შეფასების მიხედვით, საშუალო წყლის მოხმარება თითოეულ თანამშრომელზე შეადგენს დაახლოებით 120 ლიტრს დღეში, რაც აღემატება ევროკავშირის ნორმებს, მაგრამ ბორჯომის რეგიონისთვის საშუალო მაჩვენებელია. ივარაუდება, რომ თანამშრომლები ადგილზე არიან დღეში 8 საათის განმავლობაში, სამ ცვლად. ბორჯომის N2 ქარხნის ტერიტორიაზე დასაქმებულია დაახლოებით 330 ადამიანი.

ბორჯომის N2 ქარხნის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ეკოპრეს მიერ FENNO WATER-ის დანადგარი, რომლის წარმადობაც არის - 440 მ<sup>3</sup>/დღეში, შესაბამისად 160 600 მ<sup>3</sup>/წელ, რომლის ეფექტურობაც მოცემულია ცხრილში 4, აღნიშნული დანადგარის ეფექტურობა აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ცხრილი 4

შეწონილი ნაწილაკები	60 მგ/ლ
ჟმმ (ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება)	25 მგ O <sub>2</sub> /ლ
ჟქმ (ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება)	125 მგ O <sub>2</sub> /ლ
საერთო ფოსფორი	2 მგ/ლ
საერთო აზოტი	15 მგ/ლ
დეტერგენტები (სზან)	2,0 მგ/ლ

ცხრილი 5 გამწმენდი ნაგებობის წარმადობა

Q პროცესიდან	400 მ <sup>3</sup> /დღეში
Q სამეურნეო	40 მ <sup>3</sup> /დღეში
Q ჯამი	440 მ <sup>3</sup> /დღეში
q პარამეტრები	25 მ <sup>3</sup> /სთ

გამწმენდი ნაგებობის მიერ გაწმენდის პროცესის ძირითადი ეტაპები შემდეგია:

- სკრინინგი
- შემავალი წყლის ტუმბვა
- გათანაბრება /ტუმბვა MBBR (მომრავი ბიო-რეაქტორი) პროცესისთვის, PH-ის გაზომვა
- MBBR პროცესის უჟანგბადო რეაქტორი
- აერაციის რეაქტორი და MBBR პროცესის ცირკულაციის ტუმბვა
- DAF პროცესის სწრაფი შერევა
- DAF პროცესის ნელი შერევა
- DAF პროცესი
- DAF პროცესისთვის დისპერსიული წყლის მოწყობილობა
- მეთანოლის მიწოდების მოწყობილობა
- NaOH-ის მიწოდების მოწყობილობა
- Al<sub>2</sub>(SO<sub>4</sub>)<sub>3</sub> -ის მიწოდების მოწყობილობა
- პეროქსიდის წყლის მიწოდების მოწყობილობა
- ლამის ავზი
- ლამის გაუწყლოება
- პოლიმერის მიწოდება ნალექის გაუწყლოებისას (გაწმენდის პროცესისგან მიღებული მყარი ნარჩენის შემკვრელი დანამატი (გაუწყლოვნების ეფექტურობის გასაზრდელად)

გამწმენდ ნაგებობას, ელ. ენერგია მოეწოდება ქარხანაში არსებული ქსელიდან.

ქარხნიდან ნარჩენი წყალი იტუმბება სკრინინგისთვის. სკრინინგი ხდება ცილინდრული ფილტრით. ცილინდრული ფილტრის სიმძლავრეა 50 მ<sup>3</sup>/სთ. ცილინდრული ფილტრის ტიპია FW500/1500/3. ცილინდრული ფილტრის დაცალკეების სიმძლავრეა 3 მმ. ფილტრი იმართება სენსორით, რომელიც მოთავსებულია ფილტრის შემავალ ყუთში. ფილტრები გადატანილი უნდა იქნას კონტეინერში ხრახნული ტრანსპორტიორის FW 200/2.0-ის მეშვეობით.

**შემავალი წყლის ტუმბვა:** სკრინინგიდან ნარჩენი წყლის გადატანა ხდება შემავალი წყლის სატუმბ სადგურში. სატუმბი სადგური გაკეთებულია ცემენტისგან და მოთავსებულია მიწის ქვემოთ. სატუმბი ავზის დიამეტრია 2,0 მ, სიღრმე - 3,5 მ.

ავზში წყლის მაქსიმალური დონეა 3,5 მ. წყლის მაქსიმალური მოცულობა ავზში არის 9,4 მ<sup>3</sup>.

სატუმბ სადგურში არის ორი წყალქვეშა ტუმბო. თითოეული ტუმბოს სიმძლავრეა 40მ<sup>3</sup>/სთ. თუ ორივე ტუმბო მუშაობს ერთდროულად, ტუმბვის მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს 70 მ<sup>3</sup>/სთ.

შემავალი წყლის სატუმბი სადგურიდან ნარჩენი წყალი იტუმბება გამთანაბრებელ ავზში.

**გამთანაბრება/ ტუმბვა MBBR პროცესისთვის:** ნარჩენი წყალი სკრინინგის შემდეგ იტუმბება გამთანაბრებელ ავზებში. ავზების ჯამური მოცულობაა 200მ<sup>3</sup>. გამთანაბრებელი ავზის პარამეტრები შემდეგია: D - 5,25მ, ავზის სიმაღლე +6,00 მ, ხოლო მაქსიმალური H წყლის სიმაღლე - 5,55 მ. ავზი დამზადებულია სპილენძისგან და გარედან დაფარული ეპოქსიდური საღებავით.

გამთანაბრებელ ავზში დამონტაჟებულია 1 პოლიკარბონატის წყალქვეშა შემრევი (მეორე ტუმბო არის სათადარიგო შესანახად) ნარჩენი წყლის ერთგვაროვნების შესანახუნებლად. ავზი დამონტაჟებულია. ავზი დამონტაჟებულია 1 პოლიკარბონატის ნარჩენი წყლის მიწისქვეშა ტუმბოში (მეორე ტუმბო არის სათადარიგო შენახვისთვის). MBBR პროცესის შემავალი წყლის სატუმბის სიმძლავრეა - წარმადობა q = 25მ<sup>3</sup>/სთ. სატუმბი მუშაობს დონის სენსორის მიხედვით, რომელიც მოთავსებულია კონტეინერში. კონტეინერიდან ნარჩენი წყალი იტუმბება MBBR პროცესის უჟანგბადო რეაქტორში.

**MBBR პროცესის უჟანგბადო რეაქტორი:** ბიოლოგიური MBBR პროცესის პირველი ეტაპია უჟანგბადო (ანოქსიკური) რეაქტორი. რეაქტორის პარამეტრები შემდეგია:

D = 4,2Q მ; ავზის სიმაღლე = 6,00 მ, წყლის სიმაღლე = 5,5 მ, წყლის ავზის მოცულობაა 75 მ<sup>3</sup>. ავზი დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან - AISI 304. უჟანგბადო რეაქტორში დამონტაჟებულია ვერტიკალური დაბალი სიჩქარის ფსკერის შემრევი/აერატორი.

მართვის მოწყობილობა დამონტაჟებულია ავზის ზედაპირის ხიდზე. უჟანგბადო რეაქტორს საჭიროებისას შეუძლია ამ შემრევი აერატორით მოახდინოს აერაცია. მიქსერი უზრუნველყოფს Mutag BioChip 30TM-ის მატარებლების ტივტივს ავზში.

უჟანგბადო ავზში 16 მ<sup>3</sup> Mutag BioChip 30TM მატარებლები ბიომასისთვის წარმოადგენს MBBR პროცესის შემადგენელ ნაწილს.

ბიომასა ჩაედინება სკრინინგის მილით პროცესის შემდეგ ეტაპზე აერაციის რეაქტორში.

**MBBR პროცესის აერაციის რეაქტორი და ცირკულაციის ტუმბვა:** ბიოლოგიური MBBR პროცესის მეორე ეტაპია აერაციის რეაქტორი. რეაქტორის პარამეტრებია:

D = 4,20 მ; ავზის სიმაღლე = 6,00 მ, წყლის სიმაღლე = 5,5 მ, ავზში წყლის მოცულობაა 75 მ<sup>3</sup>. ავზი დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან - AISI 304. აერაციის რეაქტორში დამონტაჟებულია აერაციის უხეში დიფუზორები ბიომასის აერაციისთვის. ჰაერის დონე რეაქტორში რეგულირდება აერაციის კომპრესორებით. ჰაერი უზრუნველყოფს Mutag BioChip 30TM მატარებლების ტივტივს ავზში. აერაციის ავზში 16 მ<sup>3</sup> Mutag BioChip 30TM მატარებლები ბიომასისთვის წარმოადგენს MBBR პროცესის შემადგენელ ნაწილს.

ბიომასის ცირკულაციის სატუმბი მოწყობილობა დამონტაჟებულია აერაციის რეაქტორის ბოლოში. მოძრავი ბიომასა იტუმბება უჟანგბადო რეაქტორის დასაწყისში საწარმოს შემავალი წყლის ნაკადის საშუალოდ 200%-ის ოდენობით.

ტუმბოს სიმძლავრეა 40მ<sup>3</sup>/სთ. სატუმბი დამონტაჟებულია სპეციალურ სატუმბ ჭაში, რომელიც დამზადებულია პერფორირებული ფოლადის ფირფიტისგან.

ბიომასა სკრინინგის მილის გავლით მიემართება პროცესის შემდეგი ეტაპისკენ, რომელიც არის ფლოტაციის მოწყობილობა (DAF).

**DAF პროცესის სწრაფი შერევა:** ფლოტაციის შემავალ მილში არის სტატიკური მილის შემრევი ნარჩენი წყლის შესარევად პეროქსიდულ წყალში და  $Al_2(SO_4)_3$  ან (PAX) ხსნარში. სტატიკური შემრევის პარამეტრებია: DN150 x 750 მმ. სტატიკური შემრევის წინა ნაწილში არის დამაკავშირებელი პეროქსიდული წყლისა და  $Al_2(SO_4)_3$ -ის ხსნარის რაოდენობის განსაზღვრისთვის.

**DAF პროცესის ნელი შერევა:** სწრაფი შერევის შემდეგ მოდის ნელი შერევის კამერა მასის გასაზრდელად. შესარევი ავზი არის ფლოტაციის ავზის წინ. შერევა ხდება მომრევით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ძრავით. პოლიმერის ხსნარი ისხმება ნელი შერევის ავზში ფლოკულაციის გასაუმჯობესებლად. ნელი შერევის ერთი ავზია წარმოდგენილი ორი მომრევით. ნელი შერევის ავზის მოცულობაა 4,7მ<sup>3</sup>. შეკავების დროა 11,3 წთ, როდესაც ნაკადი არის 25 მ<sup>3</sup>/სთ. ავზის პარამეტრებია: W=2,25მ, L=1,0მ, H<sub>წყლის სიმაღლე</sub>=2,1 მ.

**ფლოტაცია (DAF):** ნელი შერევის კამერიდან, ნარჩენი წყალი მიემართება ფლოტაციის ავზისკენ. ფლოტაციის ავზის ზედაპირი ფართობია 7,8მ<sup>2</sup>, W=2,25მ, L=3,50მ. ზედაპირის დატვირთვა შეადგენს 3,2 მ/სთ. წყლის დონე არის 2,1 მ. ლამის ამოტანა ხდება ზედაპირზე სადისპერსიო წყლით. ლამის გადატანა ლამის ავზში ხდება ავტომატური ზედაპირის სკრეპერით, ხოლო ფსკერის ლამის - ამწეს მეშვეობით. დისპერსიისთვის საჭირო წყლის ამოღება ხდება ფლოტაციის ავზის შუა დონიდან. გასუფთავებული ნარჩენი წყალი მიემართება გადასაღვრელი არხის მეშვეობით ფლოტაციის ავზიდან გასუფთავებული ნარჩენი წყლის სატუმბი ავზისკენ. გასუფთავებული ნარჩენი წყალი იტუმბება ლამის ცილინდრული შემასქელებლის სარეცხ ბადეში. ავზიდან გადასაღვრელი წყალი მიემართება გადასამუშავებელი საწარმოდან გარეთ.

**სადისპერსიო წყლის მოწყობილობა DAF პროცესისთვის:** წარმოდგენილი იქნება ერთი სადისპერსიო წყლის სატუმბი  $q = 10\text{მ}^3/\text{სთ} \times 6,0$  ბარი, ერთი სადისპერსიო ჰაერის კომპრესორი  $q = 195$  ლ/წთ  $\times 6$  ბარი და ერთი სადისპერსიო წყლის შესაკუმში ჭურჭელი 150 ლ მოცულობის. ჰაერის გამოშვება მოხდება წყალში სპეციალური გამომშვებით. ფლოტაციის ავზის ფსკერზე არის საქშენი მილი, რომლის მეშვეობითაც სადისპერსიო წყალი მიემართება ფლოკულირებულ ნარჩენ წყალში.

მეთანოლის მისაწოდებელი მოწყობილობა (თუ ამის საჭიროება არსებობს ბიოლოგიურ პროცესში) მეთანოლის ხსნარის მიწოდება ნახშირბადის რაოდენობის გასაზრდელად ნარჩენ წყალში ბიოლოგიური პროცესისთვის ხდება საჭიროების შემთხვევაში. ქიმიური ხსნარი მიეწოდება საწარმოს სითხის ფორმით. მეთანოლის ხსნარის მიწოდება ხდება IBC-ის ქიმიური კონტეინერიდან  $V = 1\text{მ}^3$ . მეთანოლის ხსნარი მიეწოდება მილსადენს უჟანგბადო რეაქტორამდე.

**NaOH-ის მიწოდების მოწყობილობა:** NaOH-ის ხსნარი მიეწოდება pH-ის რეგულირებისთვის, რათა კოაგულაციის პროცესი სწორად წარიმართოს ფლოტაციის პროცესში. ქიმიური ხსნარის მიწოდება ხდება საწარმოსთვის თხევად მდგომარეობაში. NaOH-ის ხსნარი მიეწოდება IBC-ის ქიმიური კონტეინერიდან  $V = 1\text{მ}^3$ . NaOH-ის ხსნარი მიეწოდება მილსადენს უჟანგბადო რეაქტორამდე. მიწოდების რაოდენობა დგინდება pH-ის საზომის მიხედვით უჟანგბადო რეაქტორში.

**$Al_2(SO_4)_3$  ან (PAX) და პეროქსიდული წყლის ( $H_2O_2$ ) მიწოდების მოწყობილობა:** ორივე ქიმიური ნივთიერება მიეწოდება როგორც კოაგულანტი და პეროქსიდული წყალი ასევე, როგორც ქიმიური აერაცია, DAF პროცესის წინ.  $Al_2(SO_4)_3$ -ის მიწოდება ხდება IBC-ის ქიმიური

კონტეინერიდან  $V = 1\text{მ}^3$ . ქიმიური ხსნარის მიწოდება ხდება მემბრანაიანი ტუმბოს მეშვეობით სტატიკურ შემრევში DAF-ის მოწყობილობამდე. მიწოდების ტუმბო ამუშავდება როდესაც წყლის შესაშვები ტუმბო ამუშავდება.  $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3$ -ის ხსნარი მიეწოდება  $150\text{--}250\text{ მლ/მ}^3$  40%-იანი ხსნარის ფორმით.

პეროქსიდული წყლის მიწოდების კონცენტრაციის შემსუბუქება ხდება დღეში ერთხელ ნომინალური შემავალი კონცენტრაციით.

მიწოდების რაოდენობაა  $250\text{--}500\text{ მლ/მ}^3$ , 5% წყლის ხსნარი. პეროქსიდული წყალი ხელს უწყობს კოაგულაციას და ამცირებს ორგანულ დატვირთვას ნარჩენი წყლიდან. მიწოდების ტუმბო ამუშავდება, როდესაც შემავალი ტუმბო ამოქმედდება.

პეროქსიდული წყლის მიწოდების ავზის მოცულობაა 500ლ.

**ლამის ავზი:** ლამის რაოდენობა საცავში არის  $8\text{ მ}^3/\text{დღეში}$  და  $2,880\text{ მ}^3$  წელ. ზედაპირისა და ფსკერის ლამი ფლოტაციიდან მიემართება ლამის ავზში  $6\text{ მ}^3$  მოცულობით. ლამის საცავი ავზი არის ფლოტაციის ავზის უკან და დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან. ლამის საცავი ავზიდან იტუმბება ცილინდრულ შემსქელებელში/ტომარისებურ საშრობში სპირალური ხრახნიანი ტუმბოთი. ლამის საცავი ავზის შეკავების დრო არის 18 სთ.

**ლამის გაუწყლოების მოწყობილობა FW 500/1500 & SD 800 შემავალი ზედმეტი ლამი:**

ლამის რაოდენობა  $240\text{ კგ/დღეში}$  ლამის კონსისტენცია  $3\% \text{ DS}$

ლამის ნაკადი  $8\text{ მ}^3/\text{დღე}$

აღნიშნული ლამის გაუწყლოების<sup>1</sup> მოწყობილობა განკუთვნილია ფლოტაციის ლამის გასაშრობად, MBBR-ის პროცესის საბოლოო ფლოტაციიდან.

ლამის შეტუმბვა ხდება ექსცენტრიკული ხრახნიანი ტუმბოთი ლამის გაუწყლოების მოწყობილობაში, რომელიც შედგება ცილინდრული შემსქელებლისა და ტომარისებური გამშრობი მექანიზმისგან.

ლამის გაუწყლოების ამ მექანიზმის სიმძლავრეა  $2\text{მ}^3/\text{სთ}$ , როდესაც ლამის კონცენტრაცია შეადგენს  $3\% \text{ DS}$ -ს. ლამის გაუწყლოება ხდება შედეგი ოდენობით:  $240\text{ კგ DS/დღეში}$ ,  $60\text{ კგ DS/სთ}$ .

გამშრალი ლამის მყარი მშრალი ნივთიერება  $20\% \text{ DS}$  ლამის გაუწყლოების მოწყობილობა განკუთვნილია მუშაობისთვის  $4\text{ სთ/დღეში}$ . გასუფთავებული ნარჩენი წყლის მიწოდება ხდება ცილინდრული შემსქელებლის ბადისებრ სარეცხში. სარეცხი წყლის საჭიროებაა  $2,5\text{ მ}^3/\text{სთ} \times 5,5$  ბარზე.

**პოლიმერის მიწოდება ლამის გაუწყლოებისას:** პოლიმერის მიწოდება ლამისთვის ხდება წყლის გამოცალკევებისთვის ლამიდან ლამის გაუწყლოების მექანიზმამდე.


პოლიმერის მიწოდების რაოდენობაა  $3\text{--}4\text{ კგ/tn DS}$ . პოლიმერი მიეწოდება  $0,1\%$  წყლის ხსნარის სახით.

პოლიმერის მიწოდებისთვის მონტაჟდება ერთი პოლიმერის ტუმბო პოლიმერის მოწყობილობაზე - FW 1 M 1. პოლიმერის ხსნარი მიეწოდება ავზიდან მიწოდების ტუმბოთი ლამის მილში ცილინდრული შემსქელებლის ფლოკულაციის მოწყობილობამდე.

<sup>1</sup> ლამის გაუწყლოვნების დანადგარი დამონტაჟებულია წყლის გამწმენდ ძირითად შენობაში



### პროცესის მიმდინარეობის დიაგრამა



**ავზის მოცულობა:** გამთანაბრებელი ავზები - 200მ<sup>3</sup>, D = 5,25 მ, ავზის სიმაღლე = 6,00 მ, წყლის სიმაღლე = 5,55 მ (მაქს) უჭანგბადო ავზი — 75 მ<sup>3</sup>, D = 4,20 მ, ავზის სიმაღლე 6,00 მ, ავზის სიმაღლე = 5,50 მ აერობული ავზი — 75 მ<sup>3</sup>, D = 4,20 მ, ავზის სიმაღლე 6,00 მ, ავზის სიმაღლე = 5,50 მ ლამის ავზი - 10 მ<sup>3</sup> Mutag BioChip - 32 მ<sup>3</sup> (16 მ<sup>3</sup> ანოქსიკური ავზისთვის, 16 მ<sup>3</sup> აერაციის ავზისთვის), სულ ჯამში ტერიტორიაზე განთავსებულია 5 ცალი რეზერვუარი, 3 ცალი 75 მ<sup>3</sup> და 2 ცალი 100 მ<sup>3</sup>.

#### 2.4 საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების დახასიათება


ბორჯომის N2 საჩამომსხმელო ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლებისთვის მოწყობილია შესაბამისი სისტემები, რომლის საშუალებითაც ხდება, როგორც სანიაღვრე-საწარმოო, ასევე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა.

საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შეგროვება ხდება მთელს ტერიტორიაზე, რომელიც ზედაპირული წყლის ობიექტში ეშვება ორი დამოუკიდებელი სისტემის საშუალებით. ჩაშვების წერტილი კოორდინატებია N1 X368524/Y4636294; N2 X369116/Y4636364, უშუალოდ სანიაღვრე სისტემის და გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყალი, ხვდება ერთ ჭაში (მიმღები ჭის კოორდინატებია X369066/Y4636291), საიდანაც ერთიანი სისტემით, დაახლოებით 90 -მ იანი მილით ჩაედინება მდინარე მტკვარში (წყალჩაშვების წერტილი N2).


ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდა ხდება ჭების საშუალებით, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ამ სისტემებში ხდება, მხოლოდ წვიმის წყლების შეკრება, ტერიტორიაზე ნავთობპოდუქტებით დაბინძურების წყაროები არ არის განთავსებული, ჭების ტიპური ნახაზი მოცემულია ნახაზზე 6. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, არცერთ ნაწილში არ ხდება გამწმენდ ნაგებობაში. პირობითად N2 წყალჩაშვების წერტილს, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სისტემით მიეწოდება, გამწმენდი ნაგებობიდან და სანიაღვრე სისტემიდან წარმოქმნილი წყალი, N2 წერტილში ხდება ამ სისტემებიდან წარმოქმნილი წყლების შეკრება და შემდგომ ერთ წერტილში ჩაშვება, არცერთ შემთხვევაში სანიაღვრე წყალი არ ხდება გამწმენდ ნაგებობაში.

სულ საპროექტო ტერიტორიაზე, სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვისთვის არის 1-1 კოლექტორი.

pk0+00



ნახაზი 7 საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლების მართვის სქემა



როგორც ზედა ნაწილებში აღინიშნა, N2 ქარხნის ტერიტორიაზე ხდება, როგორც საწარმოო-სანიაღვრე, ასევე სამეურნეო-ფეკალური წყლების წარმოქმნა და შესაბამისი ქსელების საშუალებით მათი მართვა.

პროექტის მოხედვით გამწმენდ ნაგებობაში ხვდება, მხოლოდ სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო წყლები, გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყლის მდინარეში ჩაშვებამდე გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყალს, შესაბამის შემკრებ ჭაში უერთდება პირობითად N2 წერტილში ქარხნის ტერიტორიის ნაწილზე შეგროვებული სანიაღვრე წყლები, აღნიშნული წერტილიდან მდინარეში ერთი მილით ჩაედინება გამწმენდიდან გამოსული და სანიაღვრე ქსელში მოხვედრილი წყლები (იხ. ნახაზი 7.), სანიაღვრე წყლების გამწმენდ ნაგებობაში ჩადინება არ ხდება.

სანიაღვრე წყლების გაანგარიშება: ტერიტორია სადაც შესაძლოა წარმოიქმნას სანიაღვრე წყლები, პროექტის ფარგლებში იქნება დაახლოებით 9.1 ჰა.

სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:  $Q=10 \times F \times H \times K$  სადაც:

Q არის სანიაღვრე წყლების მოცულობა მ<sup>3</sup>/დღ;

F - ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების წარმოქმნა (ჰექტარში)- შეადგენს 9.1 ჰა-ს.

H - ნალექების რაოდენობა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: ბორჯომის მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 653 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 61 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 12 მმ;

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,23; გამომდინარე აღნიშნულიდან, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა იქნება:

- $Q_{წელ} = 10 \times 9.1 \times 653 \times 0.23 = 13,667.29$  მ<sup>3</sup>/წელ
- $Q_{დღ} = 10 \times 9.1 \times 61 \times 0.23 = 1,276.73$  მ<sup>3</sup>/დღ.
- $Q_{სთ} = 10 \times 9.1 \times 12 \times 0.23 = 251.16$  მ<sup>3</sup>/სთ.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე, სანიაღვრე სისტემა მოწყობილია ისე, რომ მიიღოს და ტერიტორიიდან არინება გაუკეთოს მოდინებულ ნალექს 2 წერტილში, სანიაღვრე სისტემების ჩაშვება შესაბამისად ხდება პირობითად წყალჩაშვების წერტილი N1 და N2. საპროექტო ტერიტორიის, მისი ფართობის და მოსალოდნელი ნალექების რაოდენობის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე მოწყობილი სანიაღვრე სისტემა უზრუნველყოფს, ნაკვეთის ნახევარზე წარმოქმნილი ნალექის 1 წერტილში ჩაშვებას, შესაბამისად მეორე წერტილში ხდება მეორე ნახევარი წარმოქმნილი ნალექის ჩაშვება. შესაბამისად, პროექტის მიხედვით, განსახილველ სანიაღვრე სისტემაში, თითოეულ წერტილში მოხდება 6,833.645 მ<sup>3</sup>/წელ, 638.365 მ<sup>3</sup>/დღ. და 125.58 მ<sup>3</sup>/სთ ნალექის ჩადინება.

## 2.5 წყალმომარაგება და კანალიზაცია

ბორჯომის ქარხნის შენობას წყალი მიეწოდება 25 მმ მილით. ცივი წყლის წამური მაქსიმალური ხარჯია 0.4 ლ/წმ-ში.

ცივი და ცხელი წყლის მილები მონტაჟდება ერთმანეთის პარალელურად. შენობაში არსებული სან კვანძისთვის გამოყენებულია ცივი წყლის პოლიპროპილენის d 25-20 მმ მილები.

შენობაში ცხელი წყლით მომარაგება ხდება 80 ლიტრიანი ელ. წყალ გამაცხელებელით. ცხელი წყლის წამური ხარჯი შეადგენს 0.3 ლ/წმ. ცხელი წყლის ქსელისთვის გამოიყენება 20 მმ მილები და ფასონური ნაწილები.

კანალიზაციის ქსელი ჩადებულია იატაკ ქვეშ. კანალიზაციის შიდა ქსელისთვის გამოყენებულია 100-50 მმ მილები და ფასონური ნაწილები. კანალიზაციის ქსელი შეიკრიბება და ჩაეშვება გამწმენდი ნაგებობის მიმღებ ორმოში.

### 2.5.1 საწარმოო და სამეურნეო ფეკალური წყლების წარმოქმნა

ვინაიდან გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მშენებლობის ფაზისთვის წყალმომარაგება და სამეურნეო ფეკალური წყლების მართვის საკითხი არ განიხილება, რაც შეეხება გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროექტში წარმოქმნილ წყლებს:

- ტექნიკური პროცესისგან მოსალოდნელია: საშუალოდ - 304 მ<sup>3</sup>/დღ, მაქსიმალური - 400 მ<sup>3</sup>/დღ, მინიმალური - 218 მ<sup>3</sup>/დღ ;
- სამეურნეო-ფეკალური წყლები - საშუალოდ - 33.6 მ<sup>3</sup>/დღ, მაქსიმალური - 40 მ<sup>3</sup>/დღ, მინიმალური - 10 მ<sup>3</sup>/დღ;

გამწმენდი ნაგებობის დატვირთვა დამოკიდებულია, ქარხნის სამუშაო რეჟიმზე. ვინაიდან ქარხანა მუშაობს სრული დატვირთვით, 3 ცვლიანი სამუშაო გრაფიკით 365 დღის განმავლობაში ზემოთ წარმოდგენილი გათვლები გაკეთებულია ქარხნის მაქსიმალურ დატვირთვაზე.

### 2.6 სამშენებლო სამუშაოები

იქიდან გამომდინარე, რომ გამწმენდი ნაგებობის და საკომუნიკაციო ქსელების ძირითადი მოცულობითი სამუშაოები დასრულებულია, წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში განხილულია მხოლოდ ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედებები.

გამწმენდი ნაგებობის, მშენებლობის დროს სულ ჯამში მოიხსნა დაახლოებით 1200 მ<sup>3</sup> მოცულობის გრუნტი, რომელიც განთავსდა, ბორჯომის N 2 ქარხნის მიმდებარედ საპარკინგე სივრცის მოწყობის მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მშენებლობის დროს წარმოქმნილი გრუნტის მართვისთვის, დამატებით სანაყაროების მოწყობა არ გამხდარა საჭირო.

ვინაიდან ქარხნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საოფისე და სასაწყობე შენობების მშენებლობა, ამ უბნებისთვის გათვალისწინებულია, შესაბამისი მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა, დარჩენილი საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელის სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 3-4 თვე, დანარჩენ პერიოდში მოხდება MEP სამუშაოების განხორციელება.

### 3 გარემოს ფონური მდგომარეობა და მოსალოდნელი ზემოქმედება

წინამდებარე პარაგრაფში მოცემულია ინფორმაცია, საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების სახეებსა და მასშტაბებზე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე დასრულებულია ძირითადი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება განხილულია ექსპლუატაციის ფაზისთვის.

#### 3.1 კლიმატურ მეტეოროლოგიურ პირობები

#### 3.2 გეოლოგიური გარემო

შესწავლილი ტერიტორია მდებარეობს მდინარე მტკვრის ხეობაში სოფელ ყვიბისთან მდინარის მარჯვენა სანაპიროზე.

შესწავლილი ტერიტორიის და მისი შემოგარენის გეოლოგია წარმოდგენილია პალეოცენური, ქვედა ეოცენური ქანებით ( $E_1-E_2^1$ ). პელიტომორფული და კრისტალური კირქვები, მერგელები (დანური). ქვიშაქვა-ალევიტური და კლასტურ-კირქვული ფლიში: ქვიშაქვური, ალევიტური და კლასტურ-კირქვული ტურბიდიტები, პელაგური არგილიტები და მერგელები, ზოგან ჭრელი მერგელები, თიხები და ქვიშაქვები.

საკვლევი უბნის აგებულებაში მონაწილეობენ სქელ და საშუალო შრეებრივი ქვიშაქვები. ძირითადი ქანები გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ალუვიური გენეზისის ნალექებით.

ბორჯომის რაიონი ტექტონიკურად მიეკუთვნება მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონი) ნაოჭა (ნაოჭა-შეცოცებითი) სისტემას, ჩრდილოო ქვეზონის ახალციხის სექტორს.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია – ყვიბისი (3304) განლაგებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A ტოლია 0.20 (სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმომედეგი მშენებლობა” - პნ 01.01-09).

#### 3.2.1 ჭაბურღილის კვლევის შედეგები

გეოლოგიური აგებულებით, გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს ერთ მთლიან უბანს.

სამშენებლო მოედანის, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მოსამზადებლად, დამკვეთისაგან მიღებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური აგებულების, ამგები ქანების ფიზიკური და მექანიკური მაჩვენებლების, გრანულომეტრიული შემადგენლობის, გრუნტების ქიმიური შედგენილობის შესწავლის მიზნით, სამშენებლო მოედანზე გაბურღულია 4 ჭაბურღილი №1-8მ, №2-8მ, №3-8მ და №4-13მ სიღრმემდე.

ჭაბურღილების ბურღვა წარმოებდა თვითმავალი საბურღი დანადგარებით სლB 2ა-2. მშრალად 100% კერნის ადებით. ბურღვის დროს გამოყენებული იყო 146მმ, 127მმ, 108მმ და 89მმ დიამეტრის საბურღი და საცავი მილები.

ჭაბურღილებიდან აღებულია 16 გრუნტის ნიმუში და 1 წყლის.

როგორც ჭაბურღილების ჭრილებიდან ჩანს ჭაბურღილები №1 და №2 იდენტურია, ებმის ჭაბურღილი №3-ის ზედა სიმძლავრეებს. ჭაბურღილი №1, ზედაპირიდან წარმოდგენილია ნიადაგის ფენით, ხოლო №2 და №3 საგზაო სამოსის ფენით, რომელიც ჭაბურღილ №4-ში

ვლინდება 0.12მ სიმძლავრის ბეტონის ფილის შემდგომ. ტექნოგენური გრუნტი ფიქსირდება №1, 2 და №3 ჭაბურღილებში, სიმძლავრე მერყეობს 0.15 – 6.8 მეტრის ფარგლებში, მას ზემოთ აღნიშნულ ჭაბურღილებში საგენად მოზდევს მნელპლასტიკური შავი და მოყავისფრო ფერის თიხები. ეს თიხები ასრულებენ №1 და №2 ჭაბურღილის კვლევის სიღრმეს. №3 და №4 ჭაბურღილებშიარა თანმიმდევრულად ვრცელდება ნახევრად მყარი, მოშავო ყავისფერი თიხა და პლასტიკური, მოყავისფრო-შავი თიხაქვიშა. ნახევრად მყარი თიხის სიმძლავრე წარმოადგენს 1.5 – 1.7მ-ს, ხოლო თიხაქვიში 1.8 – 3.8 მ-ს. №4 ჭაბურღილი არის 13მ სიღრმის და სრულდება ხრემოვანი გრუნტით.

საველე სამუშაოებით სამშენებლო მოედანზე გამოიყო 6 საინჟინრო- გეოლოგიური ელემენტი, მათგან სამი ელემენტი გამოიყო რბილ შეკავშირებულ გრუნტებში, ორი ტექნოგენურ და ერთი შეუკავშირებელ გრუნტებში:

სგე 1 - საგზაო სამოსის ფენა, ხრემოვანი გრუნტი კენჭის 15-20% ჩანართებით და მოშავო-მუქი ყავისფერი თიხაქვიშის 20%-მდე შემავსებელით (tQ4);

სგე 2 - ტექნოგენური გრუნტი, თიხანრი, მონაცრისფრო ლურჯი, მნელპლასტიკური, სამშენებლო მასალის, ხვინჭის, კენჭის და ღორღის ჩანართებით (tQ4);

სგე 3 - თიხა, მოყავისფრო შავი, მნელპლასტიკური, ხვინჭის (10%) და ღორღის (15%) ჩანართებით, იშვიათად კენჭი და მტვროვანი ქვიშის ლინზებით, ჟანგისფერი ლაქებით და მარილების ბუდობებით (dQ4);

სგე 4 – თიხა, მოშავო ყავისფერი, ნახევრად მყარი, ხვინჭის (15%) და ღორღის (10%) ჩანართებით, მნელპლასტიკური თიხის და სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის ლინზებით, ჟანგისფერი ლაქებით და მარილების ჩანაწინწკლებით (dQ4);

სგე 5 – თიხაქვიშა, მოყავისფრო-შავი, პლასტიკური, სხვადასხვა მარცვლოვანი. მარილების ჩაწინწკლებებით და ქვიშის ლინზებით, 10-20%-მდე წვრილმარცვლოვანი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით (dQ4);

სგე 6 – ხრემოვანი გრუნტი, ღორღის და კენჭის ჩანართებით, მყარი თიხაქვიშის შემავსებელით (20-30%), თიხნარის ლინზებით და იშვიათად ქვიშის თხელი შუაშრებით (aQ4);

გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებიდან სგე 3, 4 და სგე 5 გრუნტები მიეკუთვნებიან II კლასის თიხური და რბილი შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სგე 6 გრუნტები მიეკუთვნებიან II კლასის შეუკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სგე 1 და 2 გრუნტები მიეკუთვნებიან IV კლასის ტექნოგენური გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация).

### 3.2.2 გრუნტის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. „გეოტექსერვის“-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად (ГОСТ 9,015-74, СНиП 2,03,11-85, Вშ 1377, Pარტ 4).

ლაბორატორიული კვლევა მოიცავდა წყლის, გრუნტების დაშლილი და დაუშლელი (მონოლითური) ნიმუშების კვლევას. სულ ლაბორატორიულად შესწავლილია 17 ნიმუში (დანართი).

როგორც ზევით ავღნიშნეთ ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე საკვლევ უბანზე გამოიყო 6 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

სგე 1 - საგზაო სამოსის ფენა, ხრემოვანი გრუნტი კენჭის 15-20% ჩანართებით და მოშავო-მუქი ყავისფერი თიხაქვიშის 20%-მდე შემავსებელით (tQ4);

სგე 2 - ტექნოგენური გრუნტი, თიხანრი, მონაცრისფრო ლურჯი, ძნელპლასტიკური, სამშენებლო მასალის, ხვინჭის, კენჭის და ღორღის ჩანართებით (tQ4);

სგე 3 - თიხა, მოყავისფრო შავი, ძნელპლასტიკური, ხვინჭის (10%) და ღორღის (15%) ჩანართებით, იშვიათად კენჭი და მტვროვანი ქვიშის ლინზებით, ჟანგისფერი ლაქებით და მარილების ბუდობებით (dQ4);

სგე 4 – თიხა, მოშავო ყავისფერი, ნახევრად მყარი, ხვინჭის (15%) და ღორღის (10%) ჩანართებით, ძნელპლასტიკური თიხის და სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის ლინზებით, ჟანგისფერი ლაქებით და მარილების ჩანაწინწკლებით (dQ4);

სგე 5 – თიხაქვიშა, მოყავისფრო-შავი, პლასტიკური, სხვადასხვა მარცვლოვანი. მარილების ჩაწინწკლებებით და ქვიშის ლინზებით, 10-20%-მდე წვრილმარცვლოვანი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით (dQ4);

სგე 6 – ხრემოვანი გრუნტი, ღორღის და კენჭის ჩანართებით, მყარი თიხაქვიშის შემავსებელით (20-30%), თიხანრის ლინზებით და იშვიათად ქვიშის თხელი შუაშრეებით (aQ4);

აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიულ კვლევებში არ ჩატარებულა სგე 1 და სგე 2-ზე, რადგან ორივე ფენა წარმოადგენს ტექნოგენურ გრუნტს და ხასიათდება არა ერთგვაროვანი ლითოლოგიით, გადანაწილებით და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებელით. რეკომენდირებულია ამ გრუნტების მოხსნა-ჩანაცვლება ან ხიმინჯებით გავლა.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით სგე 3, 4 და 5 გრუნტები ჰიდროკარბონატულ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმთან დამარილიანების ტიპისაა ან არიან. გრუნტები არ ამჟღავნებენ აგრესიულობას არცერთი სახის ბეტონის მიმართ (დანართი 8).

გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობა შესწავლილია ჭაბურღილი №4-დან აღებული ნიმუშის საფუძველზე.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით წყალი ჰიდროკარბონატულ, კალციუმ მაგნიუმთან დამარილიანების ტიპისაა (დანართი 9).

ნიმუში ამჟღავნებს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლის (განლაგებულ ქანებში  $K_{\text{ფ}} < 0.1 \text{ მ/დღ.ღ.}$ ), ჭ4 სახის ცემენტის მიმართ (დანართი 10).

წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურაზე, პერიოდული დასველებით არის სუსტი, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი  $> 0.1 \text{ მ/დღე-ღამეში}$ , არის საშუალო (დანართი 11).

გრუნტების სეისმურობა დადგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის 8 (A-0.20 სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) ბალიანი სეისმურობის ზონაში მდებარეობის და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით („სეისმომედეგი მშენებლობა” პნ 01.01-09). აღნიშნულის თანახმად, სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება: სგე 3, 4, 5 და სგე 6 – II კატეგორიას და განისაზღვრება 8 ბალით, ხოლო სგე 1 და სგე 2 – IV კატეგორიას და ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად.



### 3.2.3 დასკვნები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონს;
2. შესწავლილი ტერიტორიის გეოლოგია წარმოდგენილია პალეოცენური და ქვედა ეოცენური ქანებით ( $E_1-E_2^1$ );
3. ძირითადი ქანები გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ალუვიური გენეზისის ნალექებით;
4. ბორჯომის რაიონი ტექტონიკურად მიეკუთვნება მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონი) ნაოჭა (ნაოჭა-შეცოცებითი) სისტემას, ჩრდილო ქვეზონის ახალციხის სექტორს;
5. საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია – ყვიბისი (3304) განლაგებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A ტოლია 0.20–ს;
6. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე საკვლევ უბანზე გამოიყო 6 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):
  - სგე 1 - საგზაო სამოსის ფენა, ხრემოვანი გრუნტი კენჭის 15-20% ჩანართებით და მოშავო-მუქი ყავისფერი თიხაქვიშის 20%-მდე შემავსებელით ( $tQ_4$ );
  - სგე 2 - ტექნოგენური გრუნტი, თიხანრი, მონაცრისფრო ლურჯი, ძნელპლასტიკური, სამშენებლო მასალის, ხვინჭის, კენჭის და ღორღის ჩანართებით ( $tQ_4$ );
  - სგე 3 - თიხა, მოყავისფრო შავი, ძნელპლასტიკური, ხვინჭის (10%) და ღორღის (15%) ჩანართებით, იშვიათად კენჭი და მტვროვანი ქვიშის ლინზებით, ჟანგისფერი ლაქებით და მარილების ბუდობებით ( $dQ_4$ );
  - სგე 4 – თიხა, მოშავო ყავისფერი, ნახევრად მყარი, ხვინჭის (15%) და ღორღის (10%) ჩანართებით, ძნელპლასტიკური თიხის და სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის ლინზებით, ჟანგისფერი ლაქებით და მარილების ჩანაწინწკლებით ( $dQ_4$ );
  - სგე 5 – თიხაქვიშა, მოყავისფრო-შავი, პლასტიკური, სხვადასხვა მარცვლოვანი მარილების ჩაწინწკლებებით და ქვიშის ლინზებით, 10-20%- მდე წვრილმარცვლოვანი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით ( $dQ_4$ );
  - სგე 6 – ხრემოვანი გრუნტი, ღორღის და კენჭის ჩანართებით, მყარი თიხაქვიშის შემავსებელით (20-30%), თიხნარის ლინზებით და იშვიათად ქვიშის თხელი შუაშრეებით ( $aQ_4$ );
7. გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებიდან სგე 3, 4 და სგე 5 გრუნტები მიეკუთვნებიან II კლასის თიხური და რბილი შეკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სგე 6 გრუნტები მიეკუთვნებიან II კლასის შეუკავშირებული გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация), სგე 1 და 2 გრუნტები მიეკუთვნებიან IV კლასის ტექნოგენური გრუნტების ჯგუფს (ГОСТ 25100-966 Грунты, классификация);
8. გამოვლენილი გრუნტებიდან მზიდუნარიანობის მიხედვით, დაფუძნებისათვის ყველაზე ხელსაყრელი გრუნტი არის ხრემოვანი გრუნტი სგე 6;
9. ქიმიური შედგენილობის მიხედვით სგე 3, 4 და 5 გრუნტები ჰიდროკარბონატულ, კალციუმ, ნატრიუმ-კალიუმთან დამარილიანების ტიპისანი არიან. გრუნტები არ ამჟღავნებენ აგრესიულობას არცერთი სახის ბეტონის მიმართ;
10. ქიმიური შედგენილობის მიხედვით წყალი ჰიდროკარბონატულ, კალციუმ მაგნიუმთან დამარილიანების ტიპისაა;

11. ნიმუში ამჟღავნებს სუსტ აგრესიულობას წყალბადიონის მაჩვენებლის (განლაგებულ ქანებში  $K_{ფ} < 0.1 მ/დღ.ღ$ ), 4 სახის ცემენტის მიმართ;
12. წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინაბეტონის არმატურაზე, პერიოდული დასველებით არის სუსტი, ხოლო ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი  $> 0.1 მ/დღე$ - დამეში, არის საშუალო;
13. სეისმურობის მიხედვით გრუნტები განეკუთვნება: სგე 3, 4, 5 და სგე 6 - II კატეგორიას და განისაზღვრება 8 ბალით, ხოლო სგე 1 და სგე 2 - IV კატეგორიას და ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად;
14. დეტალური პროექტის შედგენისას აუცილებლად მიგვაჩნია ნაგებობებისთვის მიწისძვრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გათვალისწინება;
15. საანგარიშო წინააღმდეგობა ღმ შეადგენს: სგე 1 - 400 კპა, სგე 3 - 251 კპა, სგე 4 - 344 კპა, სგე 5 - 117 კპა, სგე 6 - 450 კპა (პნ 2.02.01-83);
16. სამშენებლო მონაკვეთზე, რაიმე სახის, აქტიური, საინჟინრო გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი, რომელიც ხელს შეუშლის სამუშაოების ჩატარებას მოსალოდნელი არ არის;

### 3.3 ბიოლოგიური გარემო

განსახილველი ტერიტორიიდან, დაცული ტერიტორიის დაშორების მანძილის, ასევე საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### 3.3.1 ფლორა

